განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ია ქურიძე
წევრ(ებ)ი:
ქეთევან ბაცანკალაშვილი

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი ყუჩრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ბრიტანულ ქართული აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**204497829**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	ლეო კვაჭაძის ქ. N 17
საფოსტო ინდექსი	**0186**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**www.bga.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**bga@bga.ge**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**0 32 2 251253**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2025 წლის 10 აპრილის MES 4 25 0000397841 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	15.04.2025

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 25 მარტს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შევიდა განცხადება (2 პირის ერთობლივი განცხადება) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ. ცენტრში იდენტური შინაარსის კორესპონდენცია შევიდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან 2025 წლის 26 მარტს, ხოლო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან - 2025 წლის 08 აპრილს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2025 წლის 21 თებერვლიდან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აკადემიის 70% წილის მესაკუთრე პარტნიორის - შპს „საქართველოს განათლების ჯგუფის“ მიერ დარეგისტრირებულ იქნა აკადემიის ახალი დირექტორი.

როგორც განცხადების შინაარსიდან ირკვევა, აღნიშნულ პერიოდამდე აკადემიის დირექტორად რეგისტრირებული იყო 30% წილის მესაკუთრე პარტნიორი, რომელმაც 2025 წლის 12 თებერვალს დანიშნული პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრება, გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, კანონით დადგენილი წესით გადადო და ამის შესახებ სამჯერ შეატყობინა 70%-იანი წილის მესაკუთრე პარტნიორს. განცხადებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლების ჯგუფმა მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინა გაყალბებული კრების ოქმი, რის გამოც, მიმართული აქვს საქართველოს პროკურატურისთვის გაყალბების ფაქტის გამოძიებასთან დაკავშირებით.

განცხადებაში მითითებულია მოსწავლეთა უფლებების დარღვევის რამდენიმე გარემოებაზე, კერძოდ:

1) განმცხადებელი აღნიშნავს, რომ აკადემია წარმოადგენს ბრიტანეთის საერთაშორისო სკოლების საბჭოს (COBIS) წევრს. შესაბამისად, როგორც მაღალი სტანდარტების მქონე და საერთაშორისო პროგრამების განმახორციელებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, აკადემია დირექტორის დანიშვნისას ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას და ბრიტანეთის საერთაშორისო სკოლების საბჭოს (COBIS) მკაცრ სტანდარტებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ახალი დირექტორის დანიშვნით, საფრთხის ქვეშ დადგა აკადემიის მოსწავლეების საუკეთესო ინტერესები. საქართველოს განათლების ჯგუფისთვის ცნობილი იყო, რომ განმცხადებლები, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ აკადემიის დირექტორად რეგისტრირებული პირის კანდიდატურას, სკოლის დირექტორისათვის შეუფერებელი, საეჭვო ბიოგრაფიისა და COBIS-ის სტანდარტებთან მისი დანიშვნის პროცედურების შეუსაბამობის გამო. განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მათ ხელთ არსებული მტკიცებულებების თანახმად, დირექტორად რეგისტრირებული პირი არის პორნოგრაფიული ნაწარმოებების ავტორი, რაც ეხება ერთსქესიანთა (გეი) ურთიერთობებს. ავტორი ნაწარმოებებს აქვეყნებს ინტერნეტსივრცეში, რაც ქმნის დიდ რისკს იმისა, რომ არასრულწლოვანს ექნება შეხება აღნიშნულ პორნოგრაფიულ ნაწარმოებთან. განმცხადებლები უთითებენ, რომ აღნიშნულით ირღვევა ბავშვის უმნიშვნელოვანესი ინტერესები და საფრთხე ექმნება მის ფსიქოლოგიურ განვითარებას.

განცხადებაში მითითებულია საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც ირღვევა განცხადებაში აღნიშნული ფაქტებით. კერძოდ, ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 8[1] მუხლი და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

2) განცხადებაში აღნიშნულია, რომ დაფიქსირდა ახალი მენეჯმენტის მხრიდან არასრულწლოვანების მიმართ ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფაქტები, კერძოდ, განმცხადებლების 5 წლის შვილს, რომელიც აკადემიის შვილობილი სკოლის - „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის" მოსწავლეა, 2025 წლის 17 მარტს აკადემიის დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა არ მისცეს სკოლის ტერიტორიაზე თანმხლებ პირთან ერთად გადაადგილების საშუალება, მაშინ, როდესაც ამ ასაკის ბავშვებს საკლასო ოთახამდე სწორედ მშობლები/თანმხლები პირები მიაცილებენ. აღნიშნული სკოლაში დადგენილი პრაქტიკაა და ემსახურება მცირეწლოვანების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას. მოცემულ შემთხვევაში, სკოლის მოქმედმა მენეჯმენტმა, გაურკვეველი მიზეზით (როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, სავარაუდოდ, შურისძიების მოტივით), უარი უთხრა განმცხადებლების ნდობით აღჭურვილ პირს სკოლაში შესვლაზე და საკლასო ოთახამდე ბავშვის მიცილებაზე. დაცვის თანამშრომლის მხრიდან უხეში საუბრის გამო მცირეწლოვანმა განიცადა ფსიქოლოგიური და ემოციური სტრესი, თავი იგრძნო გარიყულად და დაჩაგრულად, რადგან მისი თანატოლები ჩვეულებრივ შედიოდნენ სკოლაში კანონიერი წარმომადგენლების თანხლებით.

განმცხადებლები თვლიან, რომ სკოლის ახალი მენეჯმენტის მხრიდან უხეშად დაირღვა ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-7 მუხლით განმტკიცებული ბავშვთა თანასწორობის უფლება, აგრეთვე, შეაშინა და ფსიქოლოგიური ზეწოლა განახორციელა მცირეწლოვანზე.

3) განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ახალმა მენეჯმენტმა, მშობლებთან დავის იარაღად გამოიყენა მათი კიდევ ერთი შვილი, რომელიც ასევე „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის" მოსწავლეა. მოსწავლე 2025 წლის 04 მარტს მონაწილეობას იღებდა საპროტესტო შეკრებაში, სკოლის გარეთ, რა დროსაც აპროტესტებდნენ საქართველოს განათლების ჯგუფის მიერ სკოლების უკანონო უზურპაციას და ითხოვდნენ სამართლიანობის აღდგენას. საპროტესტო აქციიდან რამდენიმე დღეში, მათი შვილი თავის კაბინეტში

დაიბარა სკოლის მე-6 საფეხურის ხელმძღვანელმა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა მას საპროტესტო აქციაში მონაწილეობის გამო. ასევე, მან მოსწავლეს განუცხადა, რომ აქციაში მონაწილეობით ის მაინც ვერაფერს შეცვლიდა.

განმცხადებელი თვლის, რომ ამ ქმედებით მასწავლებელმა შეზღუდა ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-17 მუხლით განმტკიცებული ბავშვის გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა მასზე და უიმედობა და სტრესი გამოიწვია ბავშვში.

4) განცხადებაში აღნიშნულია, რომ 04 მარტის აქციის მონაწილე თანამშრომლებს უკანონოდ ათავისუფლებენ სკოლიდან ან/და უკრძალავენ სკოლის ტერიტორიაზე შესვლას, რაც წარმოადგენს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ფუნდამენტური უფლებების - შეკრების, აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების დარღვევას.

5) განცხადებაში აღნიშნულია, რომ მენეჯმენტის ცვლილებების შემდეგ, ახალი მენეჯმენტის მიერ დაქირავებული პირები ვერ აკმაყოფილებენ დაკავებული პოზიციისათვის საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. მაგალითად, დაცვის კომპანია შეირჩა ისე, რომ არ გაუვლია COBIS-ის მიერ ამ კატეგორიის პოზიციისთვის დადგენილი სავალდებულო პროცედურები, მეტიც, თანამშრომლების განმარტებით, სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ახალი მენეჯმენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები, რაც ეწინააღმდეგება კანონს და რეალურ საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

6) განცხადებაში აღნიშნულია, რომ უკანონოდ დანიშნული დირექტორის მინდობილი პირიც, რომელმაც იმავდროულად „თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის“ დირექტორად დაინიშნა თავი და ფაქტობრივად „მართავს“ პროცესს, შორს არის განათლების სფეროსგან. ის არის სკოლის მაჟორიტარი პარტნიორის დირექტორი და სს „საქართველოს კაპიტალის“ ინვესტიციების ხელმძღვანელი. მისი ვერც აკადემიური ცოდნა და ვერც პრაქტიკული გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს სკოლის დირექტორისათვის საჭირო ელემენტარულ სტანდარტებს.

7) განმცხადებლების ინფორმაციით, აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი უკვე ეძებს ახალ სამსახურს. მოსალოდნელია მოსწავლეების გადინებაც, რომლებიც არ რეგისტრირდებიან მომდევნო სასწავლო წლისათვის, სანამ მენეჯმენტთან დაკავშირებული საკითხები არ გადაწყდება.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოლაში არის საგანგაშო ვითარება. პერსონალისა და მოსწავლეების გადინების ფონზე ორივე სკოლა აღმოჩნდება პარალიზებული, იქნება მძიმე მატერიალური დანაკარგები. უკანონო მენეჯმენტის პირობებში, სკოლა ვერ გაართმევს თავს სკოლის წინაშე არსებულ გამოწვევებს, ავტორიზაციის საჭიროების შემთხვევაში კი მოსალოდნელია, რომ არაკვალიფიციურმა მენეჯმენტმა სკოლა ავტორიზაციის ვერ დაძლევის საფრთხის წინაშე დააყენოს.

განცხადებაში დეტალურად არის აღწერილი ინფორმაცია სკოლის დაარსებისა და პარტნიორთა ცვლილებების განხორციელების შესახებ. აგრეთვე, საუბარია, რომ „საქართველოს კაპიტალმა“ ბრიტანულ ქართულ აკადემიას შესთავაზა ინვესტიციების განხორციელება სკოლაში, ახალი კამპუსების მშენებლობისა და მათ საკუთრებაში არსებული მიწის სკოლისათვის უსასყიდლოდ გადმოცემის გზით. ამასთან, „ინვესტორის“ პირობა იყო, რომ სკოლის მენეჯმენტში არ ჩაერეოდა. განმცხადებლები უთითებენ, რომ 5 წლის განმავლობაში ინვესტორს არანაირი ინვესტიცია არ განუხორციელებია, უარი თქვა სკოლისათვის მიწის ნაკვეთის უსასყიდლო გადაცემაზე და დაარღვია მენეჯმენტში ჩაურევლობის პრინციპი.

2024 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული ინვესტორმა არაერთხელ სცადა მოქმედი დირექტორის გადაყენება და მის ნაცვლად ახალი დირექტორის დანიშვნა, რაც განხორციელდა 2025 წლის თებერვალში პარტნიორთა კრების გაყალბებული ოქმის საფუძველზე. განცხადებაში მითითებულია, რომ აკადემიის წილის 30%-ის მესაკუთრე პარტნიორს, თავისსავე დაფუძნებულ და აშენებულ სკოლაში შესვლა ეკრძალება. შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, რეალური გავლენა მოახდინოს სკოლაში მიმდინარე უკანონო პროცესებზე და დაიცვას მოსწავლეების, პერსონალისა და მშობლების ინტერესები. აქედან გამომდინარე, განმცხადებლების თხოვნაა, ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები ბავშვებისა და სკოლის პერსონალის ინტერესების დასაცავად.

გასათვალისწინებელია, რომ შპს ,,თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა'' (ს/კ 405351943) დაფუძნებულია შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'' (204497829) მიერ. ორივე დაწესებულება მდებარეობს ქალაქ თბილისში, ლეო კვაჭაძის ქ. N17-ში. შპს ,,თბილისის ბრიტანული საერთაშორისო აკადემია'' ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 34[1] მუხლის თანახმად. შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნები სრულად, თუმცა ვრცელდება ამავე კანონის II თავი ,,მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები''. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N235 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხო ქვეყნის იმ უფლებამოსილ ინსტიტუტთან ხელშეკრულების გაფორმების წესის და პირობების, რომელიც ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აღიარებას'' მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, პროგრამის განმახორციელებელ იურიდიულ პირში მოსწავლის უფლების დარღვევის შესახებ სარწმუნო ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მიმართოს უფლებამოსილ ინსტიტუტს მის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების მოთხოვნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ცენტრმა უკვე მიმართა შესაბამის უფლებამოსილ უწყებას.

რაც შეეხება შპს ,,ბრიტანულ ქართულ აკადემიას'', აღნიშნული დაწესებულება არის ავტორიზებული სკოლა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 09 მარტის N MES 2 23 0000270986 გადაწყვეტილების საფუძველზე და ახორციელებს საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. შესაბამისად, განცხადებაში ასახული გარემოებების შესასწავლად, ცენტრის მიერ სკოლაში მივლენილ იქნა ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც შეიმუშავეს ვიზიტის დღის წესრიგი (დანართი N1). დღის წესრიგში გათვალისწინებული საკითხების მიხედვით, ექსპერტთა მიერ განხორციელდა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესწავლა და, შესაბამისად, დასკვნის შემუშავება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
200	**9**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. ექსპერტებმა გაიზიარეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც ხარვეზები გადავიდა სრულ შესაბამისობაში. კერძოდ:

ინდიკატორი N3.1.1.1 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული სტრუქტურული სქემა და დოკუმენტი ,,შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის სასწავლო დებულება''; დაწესებულებამ, ასევე, განაახლა ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და მოიყვანა შესაბამისობაში სკოლის სტრუქტურასა და თანამდებობრივ პოზიციებთან. სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის 23 თებერვლით დათარიღებული სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულება,*

რომელიც 2025 წლის 08 აპრილამდე პერიოდში, ,,დირექტორის უფლებამოსილ პირს'' ანიჭებდა დაწესებულების მართვის უფლეამოსილებას, მათ შორის დოკუმენტაციაზე ხელის მოწერის უფლებამოსილებას.

ინდიკატორი N3.1.1.2 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *ვინაიდან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 3.1.1.1 ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, აღმოიფხვრა 3.1.1.2 იდნიკატორში დაფიქსირებული ხარვეზიც, რომელიც გამოდმინარეობდა სწორედ 3.1.1.1 ინდიკატორის ხარვეზიდან.*

ინდიკატორი N3.1.2.1 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა'', რომელშიც შეტანილია შესაბამისი ცვლილებები.*

ინდიკატორი N3.1.2.3 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის მაისში განახლებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა'', რომელიც ითვალისწინებს პერსონალის დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით, კონკურსის გამოცხადების პირობებს, საკონკურსო კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპებს.*

ინდიკატორი N3.1.2.4 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *სკოლამ წარმოადგინა განახლებული სტრუქტურული სქემის შესაბამისად, დებულებით გათვალისწინებული პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტი.*

ინდიკატორი N3.6.2.1 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები ქართულ ენაზე.*

ინდიკატორი N4.1.1.1 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო'', რომელშიც დირექტორის ბრძანებით შეტანილია ცვლილება მშობლის ქცევის გამო მოსწავლის სანქცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სანქცია - მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა - დოკუმენტიდან ამოღებულია.*

N4.1.1.2 - **გადავიდა სრულ შესაბამისობაში -** *ვინაიდან არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები ქართულ ენაზე, რომლებიც, ასევე, ატვირთულია ვებ გვერდზე.*

ვიზიტის აღწერილობა

განცხადებაში დაფიქსირებული ინფორმაციისა და ვიზიტის ბრძანებიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ერთდღიანი ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის განხორციელებისას გამოკვეთილ გარემოებებზე დაყრდნობით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები მოდიფიცირდა რეალურად არსებული მდგომარეობიდან და შესასწავლად აქტუალური საკითხებიდან გამომდინარე.

კერძოდ, ვიზიტის დასაწყისშივე გაირკვა, რომ 2025 წლის 08 აპრილიდან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში აკადემიის დირექტორად რეგისტრირებულია ახალი დირექტორი. შესაბამისად, განცხადებაში დირექტორად მოხსენიებული პირი, რომელიც რეესტრში ფიქსირდებოდა 2025 წლის 21 თებერვლის ამონაწერით, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროისთვის აღარ წარმოადგენდა სკოლასთან დაკავშირებულ პირს.

გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ 2025 წლის 21 თებერვლიდან დანიშნულ ახალ დირექტორს შპს ,,ბრიტანულ ქართულ აკადემიაში'' საქმიანობა ფაქტობრივად არ განუხორციელებია. ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა განაცხადეს, რომ მათ არ გაუცნიათ ახალი დირექტორი და არასოდეს შეხვედრიან მას, უფრო მეტიც, მოსწავლეები და მასწავლებლები არ ფლობდნენ ინფორმაციას დირექტორის ცვლილების შესახებ.

მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დააფიქსირეს, რომ ისინი ბოლო წლების განმავლობაში უშუალო კომუნიკაციას ამყარებენ მხოლოდ საფეხურის კოორდინატორთან და აკადემიურ დირექტორთან, რომელიც იცვლებოდა პერიოდულად, სხვადასხვა სასწავლო წელს.

აღსანიშნავია, რომ აკადემიის ადმინისტრაციის თანამშრომლები ასევე წარმოადგენენ შპს ,,თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის'' ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც.

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მონიტორინგის საფუძვლებში დაფიქსირებული გარემოებები და დაწესებულების საქმიანობის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, კერძოდ:

- *მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ასახული, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესების განხორციელება;*
- *პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმების არსებობა და აღნიშნული მექანიზმების აღსრულება;*
- *ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსებობა;*
- *სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხილვა;*
- *სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების განაწილება და შესრულება;*
- *პერსონალის მართვის პროცესები;*
- *ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება;*
- *სკოლის ფინანსური რესურსით სამოქმედო გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა.*

ვიზიტის დროს, გამოთხოვილ და შესწავლილ იქნა სკოლის დოკუმენტაცია, შემოწმდა დღის წესრიგისა და მონიტორინგის გრძანებაში ასახული საფუძვლების ირგვლივ არსებული საკითხები, ინტერვიუ განხორციელდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან, კერძოდ, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, დაცვის სამსახურის წარმომადგენელთან და თავად განცხადების ერთ-ერთ ავტორთან.

განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, შემოწმდა კონკრეტული ინდიკატორებით განსაზღვრული მოთხოვნების სკოლის მხრიდან შესრულება. შერჩეული ინდიკატორები, რომლებიც უკავშირდებოდა განცხადებაში ასახულ გარემოებებს, გამოკვლეულ იქნა სრულყოფილად, რომელთაგან ნაწილი, დასკვნის პროექტის შედგენის ეტაპზე, შეფასდა როგორც ,,შესაბამისი'' ხოლო ნაწილი, როგორც ,,არ შეესაბამება''. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდგომ, ინდიკატორების შეფასება ,,არ შეესაბამება'' შეიცვალა შეფასებით ,,შეესაბამება''.

დასკვნის ამ ნაწილში წარმოგიდგენთ განცხადებაში დაფიქსირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს დადგენილ გარემოებებს და მათ შეფასებას.

<u>განცხადებაში დაფიქსირებული გარემოების შესწავლის პროცესში დადგინდა შემდეგი:</u>

1. *2025 წლის 21 თებერვალს, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც ჩანაცვლდა, როგორც შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'', ასევე შპს ,,თბილისის საერთაშორისო ბრიტანული სკოლის'' დირექტორი. კიდევ ერთი ცვლილებით, 2025 წლის 24 თებერვალს კვლავ ჩანაცვლდა შპს ,,თბილისის საერთაშორისო ბრიტანული სკოლის'' დირექტორი, ხოლო 2025 წლის 08 აპრილს შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'' დირექტორი. აღნიშნული დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერებით.*

2. *შპს ,,თბილისი ბრიტანული საერთაშორისო სკოლა'' დაფუძნებულია შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'' მიერ და ახორციელებს საზღვარგარეთ აღიარებულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 34[1] მუხლით დადგენილი წესით. შესაბამისად, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მასზე არ ვრცელდება ,,ზოგადი*

განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნები სრულად, თუმცა ვრცელდება ამავე კანონის II თავი ,,მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები''.

3. განმცხადებლების შვილები ირიცხებიან შპს ,,თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში''. განმცხადებლების 5 წლის შვილზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელების და დისკრიმინაციული მიდგომის ფაქტთან დაკავშირებით, გასაუბრება განხორციელდა დაცვის სამსახურის წარმომადგენელთან (რომელიც იყო განცხადებაში ნახსენები ინციდენტის მონაწილე) და სკოლის ადმინისტრაციასთან. მათ დაადასტურეს, რომ ნამდვილად არ მისცეს სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის თანმხლებ პირს შესვლის უფლება. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ თანმხლები პირი 2025 წლის 17 მარტამდე იყო სკოლის ტექნიკური სამსახურის თანამშრომელი და მას ჰქონდა შენობაში შესვლისთვის სპეციალური ელექტრონული ბარათი, რომლითაც თანამშრომლად ყოფნის პერიოდში სარგებლობდა და გადაადგილდებოდა სკოლის ტერიტორიაზე, მათ შორის განმცხადებლის შვილის სკოლაში მიყვანის დროსაც. 2025 წლის 17 მარტიდან, აღნიშნული პირი აღარ წარმოადგენდა სკოლაში დასაქმებულ პირს, შესაბამისად, მას შეეზღუდა საშვით სარგებლობის უფლება. თუმცა, აღნიშნული ინციდენტის დროს, მოსწავლის კლასამდე მიცილების მიზნით, ის მაინც ცდილობდა საშვის გამოყენებას სკოლის ტერიტორიაზე შესასვლელად. საბოლოოდ, ბავშვი სკოლაში შეაცილა შესაბამისმა მასწავლებელმა, რომლის მოვალეობაა დახვდეს მოსწავლეებს დაცვის პუნქტთან და შეიყვანოს ისინი სკოლაში.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაცვის თანამშრომელს, რომელიც მითითებულია ინციდენტის მონაწილე პირად. დაცვის თანამშრომელმა უარყო მისი მხრიდან რაიმე სახის უხეში შელაპარაკების ფაქტი ან დისკრიმინაციული მიდგომა, რის გამოც მცირეწლოვანს შეიძლებოდა განეცადა ფსიქოლოგიური ზეწოლა და ემოციური სტრესი. ადმინისტრაციის წევრებმა გასაუბრების დროს დააფიქსირეს, რომ თანმხლები პირი გაღიზიანდა საშვის გაუქმების გამო და სწორედ მისი მხრიდან ჰქონდა ადგილი უხეშ საუბარს ბავშვის თანდასწრებით.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლის პერსონალის მხრიდან მოსწავლეზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ან მის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომის ფაქტი არ დადასტურდა.

4. 2025 წლის 04 მარტს საპროტესტო შეკრებაში მონაწილეობის გამო განმცხადებლების შვილის მშვიდობიანი შეკრების უფლების შელახვისა და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით, გასაუბრება განხორციელდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. მათ უარყვეს მსგავსი ფაქტების არსებობა. გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ საპროტესტო აქციის დასრულების შემდგომ, განმცხადებლის შვილი შეფერხების გარეშე შევიდა სკოლაში და დაესწრო საგაკვეთილო პროცესს.

ვიზიტის დროს, მოსწავლეებთან გასაუბრებითაც დადგინდა, რომ სკოლას მათთვის არასოდეს შეუზღუდავს აზრის გამოხატვის თავისუფლება.

5. სკოლასთან გამართული აქციის მონაწილე თანამშრომლების უკანონოდ გათავისუფლებასა და სკოლის ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს. მათ განაცხადეს, რომ თანამშრომლების უკანონოდ გათავისუფლებას ადგილი არ ჰქონია. სკოლიდან გათავისუფლდნენ მხოლოდ ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო ერთი პირი გათავისუფლდა უხეში გადაცდომის საფუძველზე, რაზეც წარმოდგენილ იქნა ბრძანება, შესაბამისი დასაბუთებით.

6. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილებასთან დაკავშირებით, გამოთხოვილ იქნა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების სამუშაო აღწერილობა და სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი წესი. ასევე, ვიზუალურად განხორციელდა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების სამუშაო სივრცისა და აღჭურვილობის დათვალიერება. შედეგად, აღნიშნული სამსახურის თანამშრომლების მიერ რაიმე სახის იარაღის ტარების ფაქტი არ დასტურდება. აკადემიის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განგაშის ღილაკის გამოძახების შედეგად ნამდვილად დაფიქსირდნენ იარაღიანი პირები, რომლებიც იყვნენ დაცვის პოლიციის თანამშრომლები.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით ,,ბრიტანულ-ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო'', რომლის უსაფრთხოების თავში გაწერილია მოსწავლის პირადი მცველის სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებისა და იარაღის ტარების დაშვება. კერძოდ, დაცვის სამსახურის თანამშრომლის მოსწავლის თანხლების თაობაზე აკადემიის ადმინისტრაცია წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული. მცველის მიერ სამსახურეობრივი იარაღის ტარების შემთხვევაში, იარაღი არ უნდა ჩანდეს, არამედ დაფარული უნდა იყოს ტანისამოსით. მცველის სკოლაში გადაადგილება კოორდინირებული უნდა იყოს ბრიტანულ-ქართული აკადემიის დაცვის სამსახურთან.

რაც შეეხება შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'' ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების კვალიფიკაციას, თანამშრომელთა პირადი საქმეებისა და სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ გარკვეულ პოზიციებზე დასაქმებული პირების (სკოლის დირექტორი, აკადემიის დირექტორის მოადგილის, ოპერაციებისა და ბიზნესის განვითარების დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის) საკვალიფიკაციო მოთხოვნების შიდა რეგულაციის არარსებობის გამო, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ვერ დადგინდა ამ პოზიციებზე დასაქმებული პირების კვალიფიკაციების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან (დეტალურად იხილეთ 3.1.2.4 ინდიკატორის აღწერილობა). ***მას შემდეგ რაც დაწესებულებამ წარმოდგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუენტაცია, დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების განახლებული სტრუქტურული სქემის შესაბამისად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის შემდგომ მოკლებულია შესაძლებლობას შეისწავლოს დასაქმებული პირების კვალიფიკაციების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან ახალი დოკუმენტის მიხედვით.***

შპს ,,თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის'' ფარგლებში თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების საერთაშორისო თუ ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სცილდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შესწავლის საგანს. მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფის შესწავლის საგანს არ წარმოადგენს დაცვის კომპანიის COBIS-ის მიერ ამ კატეგორიის პოზიციისთვის დადგენილი სავალდებულო პროცედურების შესაბამისად შერჩევის საკითხი.

7. განმცხადებელი ეჭვქვეშ აყენებს სკოლის ახლად დანიშნული დირექტორის კომპეტენციის საკითხსაც. ექსპერტთა ვიზიტის დროს, სკოლის დირექტორი აქტიურ კომუნიკაციაში იყო სკოლის ადმინისტრაციასთან და კოორდინაციას უწევდა ექსპერტებისათვის ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდების პროცესს. ექსპერტები გაესაუბრნენ დირექტორს, რომელსაც ყველა დასმულ კითხვაზე ჰქონდა ადეკვატური პასუხი. შესაბამისად, ვიზიტის პროცესში დირექტორის კომპეტენტურობის საკითხი ეჭვქვეშ არ დამდგარა.

8. მოსწავლეებისა და აკადემიური პერსონალის მოსალოდნელ გადინებასთან დაკავშირებით, ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის მასწავლებლებს. მათ განაცხადეს, რომ მათთვის ცნობილია მენეჯმენტში არსებული გამოწვევების შესახებ, თუმცა, ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებენ ყოველდღიურ საქმიანობას და ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას. მასწავლებლებმა დააფიქსირეს, რომ მიუხედავად შექმნილი გარემოებისა, სკოლაში სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა. გარდა ამისა, არც სკოლის ადმინისტრაციამ დაადასტურა მოსწავლეთა მომდევნო წლისთვის რეგისტრაციის შეფერხების საკითხი. აღსანიშნავია, რომ 2024-2025 სასწავლო წელს შპს ,,ბრიტანულ ქართულ აკადემიაში'' ფუნქციონირებს მხოლოდ მე-12 კლასი, ხოლო სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მოსწავლეები ჩვეულ რეჟიმში რეგისტრირდებიან მომდევნო კლასებში და იმედოვნებენ, რომ 2025-2026 სასწავლო წლიდან გაიხსნება მე-10 კლასი.

9. რაც შეეხება პარტნიორებს შორის წარმოშობილი უთანხმოების საკითხებს, აღნიშნული სცილდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტების საქმიანობის ფარგლებში შესასწავლ საკითხებს.

ჩატარებული ინტერვიუებით, სასკოლო დოკუმენტაციისა და სასკოლო გარემოს გაცნობით, არ გამოკვეთილა გარემოებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის სასწავლო პროცესის განხორციელებას და უგულებელყოფს მოსწავლეთა უფლებებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

2 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.1	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	დაწესებულებას მიეცა რჩევა მკაფიოდ გამოკვეთოს და განსაზღვროს ორგანიზაციის ხედვა მისიის, ღირებულებების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად და გახადოს იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი.
ინდიკატორი N1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	დაწესებულებას მიეცა რჩევა, მკაფიოდ გამოკვეთოს რას მოიაზრებს გეგმაში მითითებულ არსებულ რესურსებში და განსაზღვროს თითოეული აქტივობისათვის საჭირო რესურსი (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური).
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლას მიეცა რჩევა სტრუქტურულ სქემაში ასახოს დებულებაში მითითებული შემდეგი პოზიციები: კლასის მენტორი, საუნივერსიტეტო მრჩეველი. გარდა ამისა, თანამდებობრივი პოზიციების დასახელებები იდენტურად ასახოს დებულებასა და სტრუქტურულ სქემაში (ტექნიკური მენეჯერი - ტექნიკური

		სამსახურის ხელმძღვანელი, ტექნოლოგიების მენეჯერი - ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი).
ინდიკატორი N3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რჩევა: 1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელ დოკუმენტში ასახოს დებულებით გათვალისწინებული კლასის მენტორისა და საუნივერსიტეტო მრჩეველის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. 2. საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელ დოკუმენტში მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახოს ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკაში'' გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების იდენტურად.
ინდიკატორი N3.6.2.1	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლას მიეცა რჩევა, საქმისწარმოების წესის მე-3 მუხლის 3.10 და 3.11 პუნქტებში ასახულ სარეგისტარციო მონაცემების განმარტებაში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* ***<u>ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე</u>***

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ბრიტანულ ქართული აკადემიის მისია, ღირებულებები და მიზნები," რომელშიც განსაზღვრულია დაწესებულების მისია, ღირებულებები, მთავარი მიზნები და მიზნების მიღწევის გზები.

დაწესებულების მისიაა:

ბრიტანულ ქართული აკადემიის მისიაა ნდობაზე, პატივისცემასა და ურთიერთმხარდაჭერაზე დაფუძნებულ გარემოში აღზარდოს ცნობისმოყვარე, მცოდნე, მზრუნველი და ემოციური ინტელექტის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც გონივრული გადაწყვეტილებების საფუძველზე შეძლებენ პრობლემების გადაჭრას, ეფექტურად ადაპტირდებიან მუდმივად განვითარებად გლობალურ სამყაროში, რათა თავიანთი პოზიტიური წვლილი შეიტანონ მშვიდობიანი მსოფლიოს შექმნაში.

დაწესებულების მიზანია:

ჩვენი მიზანია მოსწავლეებს მივცეთ ძირითადი სასწავლო დისციპლინების სრულფასოვანი დაუფლებისა და კრიტიკული აზროვნების, პრობლემების მოგვარების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი უნარების განვითარების შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში „ბრიტანულ ქართული აკადემიის მისია, ღირებულებები და მიზნები“ არ ფიქსირდება ცალკეულად ხედვის განმარტება, დოკუმენტის დეტალური შესწავლით დგინდება, რომ შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიის მიერ შემუშავებული მისია და მთავარი მიზნების მიღწევის მკაფიო გზები / ამოცანები მოიცავს ორგანიზაციის ხედვას. შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწესებულებას აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი მისია და ხედვა.

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, მკაფიოდ გამოკვეთოს და განსაზღვროს ორგანიზაციის ხედვა მისიის, ღირებულებების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად და გახადოს იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

დოკუმენტი „ბრიტანულ ქართული აკადემიის მისია, ღირებულებები და მიზნები“ მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ სივრცეს. ვიზიტის განმავლობაში, სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სასწავლო პროცესისა და კლასგარეშე აქტივობების დროს მოსწავლის აკადემიური პოტენციალისა და პიროვნული უნარების გამოვლენა/წახალისება ხორციელდება უსაფრთხო გარემოში, სადაც უზრუნველყოფილია როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური დაცულობა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის მისია, ღირებულებები და მიზნები;
2. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის შინაგანაწესი;
3. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო;
4. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის უსაფრთხოების პოლიტიკა და პროცედურები (წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე);
5. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის პოლიტიკა ბულინგის წინააღმდეგ (წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციით, სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც გაწერილია 2023-2030 წლებზე და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. შვიდწლიან გეგმაში გამოკვეთილია 5 სტრატეგიული მიზანი, რომლებიც მოიცავს მოსწავლეებისთვის მაღალ სასწავლო სტანდარტებზე დაფუძნებული, მრავალფეროვანი, კულტურულად რელევანტური და საინტერესო სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელებას; პასტორალური მხარდაჭერის/აღზრდის სისტემის განვითარებას მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური კეთილდღეობისა და მათი ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის მიზნით; მაღალკვალიფიციური აკადემიური გუნდის მოზიდვას, შენარჩუნებას და განვითარებას; მშობლებთან და სასკოლო საზოგადოებასთან ეფექტურ თანამშრომლობას და სასკოლო ცხოვრებაში პოზიტიური ჩართულობის ხელშეწყობას; სკოლის სტაბილურობისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო რესურსების მოზიდვას და გონივრული მართვას.

სტრატეგიულ გეგმაში ასევე განსაზღვრულია მიზნების შესაბამისი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები, რომლებიც თავსებადია სკოლის ფილოსოფიასთან.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სრულად შეესაბამება 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი 5 მიზნის შესრულებაზე. 2024 წლის სექტემბრის თვისთვის, დაწესებულებამ განახორციელა თვითშეფასება ავტორიზაციის განახლებულ სტანდარტებთან თავსებადობის დადგენის მიზნით, რის საფუძველზეც, შემუშავდა ახალი 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, მკაფიოდ გამოკვეთოს რას მოიაზრებს გეგმაში მითითებულ არსებულ რესურსებში და განსაზღვროს თითოეული აქტივობისათვის საჭირო რესურსი (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური).

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის მისია, ღირებულებები და მიზნები;
2. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის სამოქმედო გეგმა - 2024-2025;
3. შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა - 2023-2030.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილი აკადემიის სასწავლო დებულების თანახმად, დაწესებულების სტრუქტურა მოიცავდა პარტნიორთა კრებას, საზოგადოების დირექტორს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, საგნობრივ კათედრებს და ტექნიკურ პერსონალს. დოკუმენტში დეტალურად იყოაღწერილი თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია.

სკოლამ ვიზიტის ეტაპზე, ასევე, წარმოადგინა აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა (დოკუმენტი წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე), რომელიც მოიცავდა სკოლის ადმინისტრაციულ და სკოლის აკადემიურ პერსონალს.

სკოლის სტრუქტურაში არ იყო ასახული ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულები, როგორიცაა პარტნიორთა კრება, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები. სტრუქტურულ სქემაში არ იყო ასახული დაწესებულების დირექტორი.

<u>რჩევა</u>: სკოლას მიეცა რჩევა ორგანიზაციული სტრუქტურის სქემაში ასახოს ყველა სტრუქტურული ერთეული და თანამდებობრივი პოზიცია. ასევე, სტრუქტურის სქემა ცალ-ცალკე გამიჯნოს შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'', როგორც ავტორიზებული დაწესებულების, და IB DP პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების მიხედვით.

<u>შენიშვნა</u>: სკოლამ გაითვალისწინა დასკვნის პროექტში ასახული რჩევა და გამიჯნა სტრუქტურული სქემა შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'', როგორც ავტორიზებული დაწესებულების, და IB DP პროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების მიხედვით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლამ, ასევე, წარმოადგინა, დასაქმებულთა ნაწილის სამუშაო აღწერილობები სხვადასხვა პოზიციის მიხედვით. წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობებით, დასაქმებული პირების ფუნქციები მკაფიოდ იყოგანსაზღვრული. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმით აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები განსაზღვრული იყო მათზე

ხელშეკრულებით და სამუშაო აღწერილობით დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად. თუმცა აღსანიშნავია, რომ *სამუშაო აღწერილობები არ იყო წარმოდგენილი ყველა თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით, მაგალითად როგორიცაა: აკადემიის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ოპერაციებისა და ბიზნესის განვითარების დირექტორი, მარკეტინგის დირექტორი.*

დაწესებულების წესდებით, სტრუქტურული სქემითა და დებულებით არ იყო გათვალისწინებული აღმასრულებელი და გენერალური დირექტორის პოზიციები, თუმცა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში რიგი ფუნქციები გაწერილი იყო აღნიშნულ პოზიციებზე, რაც არ იყო თავსებადი სკოლის სტრუქტურულ სქემასა და შიდა რეგულაციებთან.

გარდა ამისა, 2025 წლის 21 თებერვლიდან 08 აპრილამდე პერიოდში, ბრძანებებზე ფიქსირდებოდა ,,დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენლის'' ხელმოწერა. დაწესებულების დებულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის თანახმად, აკადემიის დირექტორი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს (ბრძანების სახით) აკადემიის მართვასა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესთან დაკავშირებით; აკადემიის დირექტორმა სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებული თავისი უფლებამოსილება შეიძლება გადასცეს აკადემიურ დირექტორს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე. სკოლამ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, ვერ წარმოადგინა ,,დირექტორის უფლებამოსილი წარმომადგენლისთვის'' უფლებამოსილების მინიჭების აქტი, რომელიც ხელმომწერ პირს უფლებამოსილებას ანიჭებს სკოლის დირექტორის სახელით გამოსცეს ბრძანებები.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

დაწესებულებამ თანდართული დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა:

1. ***განახლებული სტრუქტურული სქემა, რომელშიც ასახულია სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობრივი პოზიციები. სკოლამ, ასევე, წარმოადგინა, განახლებული დოკუმენტი ,,შპს ბრიტანულ ქართული აკადემიის სასწავლო***

დებულება", რომელში ასახულია ახალი სტრუქტურული შემადგენლობა სტრუქტურული სქემის შესაბამისად და ფუნქციები გაწერილია თითოეული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით.

<u>რჩევა</u>: სკოლას მიეცა რჩევა, სტრუქტურულ სქემაში, ასევე, ასახოს დებულებაში მითითებული შემდეგი პოზიციები:კლასის მენტორი, საუნივერსიტეტო მრჩეველი. გარდა ამისა, თაბამდებობრივი პოზიციების დასახელებები იდენტურად ასახოს დებულებასა და სტრუქტურულ სქემაში (ტექნიკური მენეჯერი - ტექნიკური სამსახურის ხელმძღვანელი, ტექნოლოგიების მენეჯერი - ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი).

2. *დაწესებულებამ განაახლა ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი და მოიყვანა შესაბამისობაში სკოლის სტრუქტურასა და თანამდებობრივ პოზიციებთან.*
3. *დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 23 თებერვლით დათარიღებული სანოტარო წესით გაფორმებული რწმუნებულება, რომელიც 2025 წლის 08 აპრილამდე პერიოდში, ,,დირექტორის უფლებამოსილ პირს" ანიჭებდა დაწესებულების მართვის უფლებამოსილებას, მათ შორის დოკუმენტაციაზე ხელის მოწერის უფლებამოსილებას.*

შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება".

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილი, დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მარეგულირებელი დოკუმენტების შესწავლით და 3.1.1.1 ინდიკატორის აღწერილობიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ *ფუნქციების და პასუხისმგებლობების გადანაწილება არ იყო სრულყოფილი. რიგ შემთხვევებში საჭიროებდა უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე*

შესაბამისი აქტის გამოცემას და თანამდებობრივი პოზიციების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას. შესაბამისად, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობდა ხელს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

ვინაიდან, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა 3.1.1.1 ინდიკატორში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, აღმოიფხვრა 3.1.1.2 იდნიკატორში დაფიქსირებული ხარვეზიც, რომელიც გამოდმინარეობდა სწორედ 3.1.1.1 ინდიკატორის ხარვეზიდან. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'' გრაფიკული სტრუქტურა (ინგლისურ ენაზე);
2. შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'' წესდება;
3. შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის'' სასწავლო დებულება;
4. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა 2024-2025;
5. სამუშაო აღწერილობები;

6. შრომითი ხელშეკრულებები;
7. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
8. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ბრძანება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცესებს. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს შრომით პირობებს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს, დარეგულირებულია პერსონალის კონკურსის წესით ან მის გარეშე აყვანის პროცედურა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შინაგანაწესი შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს. თანამშრომლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ექპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე წარმოდგენილი, სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა მოიცავდა პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმების და განვითარების რეგულაციებს. თუმცა, აღნიშნული დოკუმენტის არაერთი მუხლი ითვალისწინებდა დაწესებულების საქმიანობას ადამიანური რესურსების განვითარების პოლიტიკას პროფესიული განათლების განხორციელების მიმართულებით. *შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემია'' ახორციელებს მხოლოდ საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, რომ პოლიტიკით განსაზღვრული მთელი რიგი რეგულაციები არარელევანტური იყო აკადემიის საქმიანობის კონტექსტში.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილ იქნა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა იმ პირთა განცხადებები, რომლებმაც სკოლას მიმართეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მოთხოვნით, თუმცა ვერ წარმოადგინა დირექტორის გადაწყვეტილების ამსახველი შიდა აქტი/ბრძანება. **დაწესებულების შინაგანაწესის მე-3 მუხლის 3.13 პუნქტის თანახმად, სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის ბრძანებას გამოსცემს აკადემიის დირექტორი.** სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ დირექტორის ბრძანება გამოიცემა დაწესებულების ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში. თუ დასაქმებული თავად მიმართავს დაწესებულებას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, განცხადების დაკმაყოფილებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას დირექტორი არ გამოსცემს ბრძანების სახით. აღნიშნულით ირღვევა როგორც სკოლის შიდა რეგულაცია, ასევე, დასაქმებულის უფლება იყოს ინფორმირებული მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ. გარდა ამისა, გადაწყვეტილების გაცნობაზე არის დამოკიდებული დასაქმებულის უფლების რეალიზაცია მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა განახლებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა'', შეიტანა ცვლილებები და გააუქმა ის დებულებები, რომელიც ითვალისწინებდა პროფესიული პროგრამის ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვის საკითხებს. შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოდგენილი განახლებული დოკუმენტი შესაბამისობაშია სკოლის ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობასთან.

რაც შეეხება დირექტორის მიერ ბრძანებები გამოცემას დასაქმებულის პირადი განცხადებით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხს, დაწესებულებამ წარმოადგინა განმარტება, რომ აღნიშნული ხარვეზით საქმისწარმოება ხორციელდებოდა 2024 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, რაც შეიცვალა 2025 წლიდან და წარმაოდგინა 2025 წლის მაისში პირადი განცხადების საფუძველზე ერთ-ერთ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ბრძანება და ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალის ამონარიდი.

შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოიზიის წარმდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვისთვის საჭირო ღონისძიებებს. მასწავლებლის მიერ თავისი ვალდებულების ვერ შესრულების შემთხვევაში, მისი ჩანაცვლების საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. ადამიანური რესურსების საჭიროებების პროგნოზირება იწყება მოთხოვნის დადგენით, იმ პროფესიების სახეობებისა და ოდენობის განსაზღვრით, რომელიც აუცილებელია პროცესების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. არსებული რეგულაციით განსაზღვრულია თუ როდის ჩნდება ადამიანური რესურსების მიმართ მოთხოვნა, ვინ შეიძლება დააყენოს ინიციატივა საჭიროებასთან დაკავშირებით. დაწესებულების შინაგანაწესი ითვალისწინებს სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დირექციისთვის შეტყობინების წესს, რაც მიზნად ისახავს საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვის ორგანიზებას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

ადამიანური რესურსების შერჩევის პროცედურა სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტსა და სკოლის შინაგანაწესში. აღნიშნული დოკუმენტებით სკოლას დარეგულირებული აქვს მასწავლებლისა და სხვა პერსონალის შერჩევის პროცედურა. მასწავლებლის შერჩევა ხორციელდება შიდა ან/და ღია კონკურსის საფუძველზე. სკოლა ვაკანსიებს აცხადებს დასაქმების პორტალზე teacherjobs.ge. კონკურსთან დაკავშირებული რეგულაციები მოცემულია სკოლის შინაგანაწესშიც.

სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, მათ შორის, მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები სტატუსების მიხედვით.

ექსპერტთა ვიზიტის დროს, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი მასწავლებელი მიღებულია კონკურსის წესით 2024-2025 სასწავლო წლის დასაწყისში, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა ჩატარებული კონკურსის დოკუმენტაცია.

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომლების პირადი საქმეები, რომლის შესწავლითაც დადგინდა, რომ პირადი საქმე მოიცავს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, თუმცა ყველა პირად საქმეში არ იყო განთავსებული ცნობები **უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის მაისში განახლებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა'', რომელიც ითვალისწინებს პერსონალის დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის

პრინციპების დაცვით, კონკურსის გამოცხადების პირობებს, საკონკურსო კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპებს. სკოლამ განმარტა, რომ 2025 წლიდან დღემდე ახალი პედაგოგი არ დაუსაქმებია.

სკოლამ, ასევე, წარმოადგინა იმ პირთა უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელთა პირად საქმეშიც არ იყო განთავსებული აღნიშნული დოკუმენტები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლის თანამშრომელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ აკადემიის ფარგლებში, საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით, მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებულია 8 მასწავლებელი, მათ შორის, 1 წამყვანი, ხოლო 7 უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე. სკოლაში ასევე დასაქმებულია სხვადასხვა არაფორმალური განათლების მიმართულების მასწავლებელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლას განსაზღვრული ჰქონდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პოზიციებზე. მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ასევე, წარმოდგენილი პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ დასაქმებული ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, ***აკადემიის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ოპერაციებისა და ბიზნესის განვითარების დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის*** პოზიციებზე დასაქმებული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის მიერ არ წარმოდგენილა, შესაბამისად, აღნიშნულ პოზიციებზე დასაქმებული პირების დაკავებულ თანამდებობებთან შესაბამისობა ვერ დადგინდა.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

სკოლამ წარმოადგინა განახლებული სტრუქტურული სქემის შესაბამისად, დებულებით გათვალისწინებული პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელი დოკუმენტი. მას შემდეგ რაც დაწესებულებამ წარმოდგინა არგუმენტირებული პოზიცია და თანდართული დოკუენტაცია, დადგინდა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნების განახლებული სტრუქტურული სქემის შესაბამისად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის შემდგომ მოკლებულია შესაძლებლობას შეისწავლოს დასაქმებული პირების კვალიფიკაციების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან ახალი დოკუმენტის მიხედვით.

შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოიზიის წარმდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

<u>რჩევა</u>: სკოლას მიეცა რჩევა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განმსაზღვრელ დოკუმენტში გაწეროს დებულებით გათვალისწინებული კლასის მენტორისა და საუნივერსიტეტო მრჩეველის საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც. ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასახოს ,,ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკაში'' გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების იდენტურად.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლის ბაზაში არ იყო განახლებული ინფორმაცია სკოლის პერსონალის შესახებ, მათ შორის, ბაზაში კვლავ ფიქსირდებოდა ის თანამშრომლები, რომლებთანაც შეწყვეტილია შრომითი ურთიერთობა.

<u>**რჩევა**</u>: სკოლას მიეცა რჩევა სკოლის ელექტრონულ ბაზაში (eschool.emis.ge) განაახლოს მონაცემები და ასახოს მხოლოდ სკოლაში ფაქტობრივად დასაქმებული პირების შესახებ ინფორმაცია.

<u>შენიშვნა</u>: სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და სკოლის ელექტრონულ ბაზაში (eschool.emis.ge) განაახლა თანამშრომლების მონაცემები (აღნიშნულის შესახებ მითითებულია სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებლი პოზიციის 3.6.2.1 ინდიკატორზე გაკეთებულ განმარტებაში).

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
3. სამუშაო აღწერილობები;
4. თანამშრომელთა ბაზა;
5. თანამშრომელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლა თავის საქმიანობას სავალდებულოდ ახორციელებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია საქმიანობის განხორციელების ძირითადი მიმართულებები როგორიცაა: სკოლის პოლიტიკის (მისია, ხედვა, ღირებულებები), შვიდწლიანი სტრატეგიისა და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგი, შეფასება და განვითარება, კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნების შესაბამისად, კურიკულუმის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია, ინკლუზიური განათლების სერვისების მიწოდება, ხარისხის მართვა/ უზრუნველყოფა, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალური რესურსების მართვა /უზრუნველყოფა და სხვა. სკოლაში შემუშავებულია ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების მარეგულირებელი ცალკეული დოკუმენტი. ასევე, ამა თუ იმ პროცესის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმებს წარმოადგენს სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და დისციპლინას და წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების კანონიერი უფლებების დაცვის გარანტიებს. სკოლის სასწავლო დებულების 38-ე მუხლი არეგულირებს საჩივრების განხილვის საკითხს და კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების

მექანიზმებს. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია მშობლებისა და დასაქმებულების უფლებები, რაც მათი დაცვის მექანიზმს წარმოადგენს. მშობლებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ მათი და მათი შვილების უფლებები სკოლაში დაცულია. ასევე, სკოლის პერსონალმა დაადასტურა, რომ მათი უფლებები სკოლაში დაცულია.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
2. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
3. შინაგანაწესი;
4. სასწავლო დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

შპს ბრიტანულ ქართულ აკადემიაში მოქმედებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმი. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.” გარდა ამისა, დაწესებულებამ ინგლისურ ენაზე წარმოადგინა უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია აკადემიის ნებისმიერი მოსწავლის, თანამშრომლისა თუ მოხალისედ მომუშავე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

დაწესებულებაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება. აღნიშნული უზრუნველყოფილია სკოლის შემოსაზღვრული პერიმეტრით და ვიდეოსამეთვალყურეო კამერებით. სკოლის სარეგისტრაციო პუნქტში დაწესებულების ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ რეგისტრაციისა და სპეციალური დაშვების ბარათებით არის შესაძლებელი.

მოსწავლეთა მშობლებს და მათი ნდობით აღჭურვილ პირებს უფლება აქვთ მიაცილონ მოსწავლეები საკლასო ოთახამდე, რისთვისაც ისინი იყენებენ სპეციალური დაშვების ბარათებს. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ მშობელი ვერ აცილებს მცირეწლოვან მოსწავლეს საკლასო ოთახამდე, ეს ფუნქცია მინიჭებული აქვს პედაგოგიურ პერსონალს.

“ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელოს’’ თანახმად, აკადემიის *დაცვის სამსახურთან კოორდინაციით*, დაწესებულებაში ასევე დასაშვებია მოსწავლის პირადი დაცვის თანხლებით გადაადგილება.

სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზრუნავს როგორც სკოლის დაცვის შიდა სამსახური, ისე დაცვის კონტრაქტორი ორგანიზაცია.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

შპს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემო. სკოლაში დასაქმებულია ფსიქოლოგი, წარმოდგენილია ფსიქოლოგის სამუშაო დებულება და სამოქმედო გეგმა. ფსიქოლოგის დებულების მიხედვით, სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის არსებობა ხელს უწყობს ინდივიდზე ორიენტირებული, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის პრინციპებიდან გამომდინარე მზრუნველი და მხარდამჭერი ურთიერთობების განვითარებას, რაც ყველაზე ეფექტური მიდგომაა ჯანსაღი სასწავლო-სააღმზრდელო გარემოს შექმნისათვის, მოსწავლის პიროვნული და შემოქმედებითი რესურსების განვითარებისათვის.

დაწესებულებამ ინგლისურ ენაზე წარმოადგინა სხვადასხვა დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრავს ბულინგის პრევენციის პოლიტიკას, სკოლაში ქცევის კოდექსს, პასტორალური აღზრდის პრინციპებს, რაც საერთო ჯამში ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში ერთმანეთზე ზრუნვის, მხარდაჭერისა და პრობლემაზე დროული რეაგირების ხელშეწყობას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

1. სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
2. შინაგანაწესი;
3. ფსიქოლოგის სამუშაო დებულება;
4. ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა;
5. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა;
6. სკოლის პოლიტიკა ბულინგის წინააღმდეგ;
7. სკოლაში ქცევის კოდექსი;
8. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს დოკუმენტბრუნვას აკადემიაში.

საჩივარში დაფიქსირებული გარემოებების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა სასკოლო დოკუმენტაცია. სკოლამ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, გარკვეული დოკუმენტაცია წარმოადგინა ინგლისურ ენაზე. შპს ,,ბრიტანულ ქართული აკადემია'' წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ავტორიზებულ სკოლას, რომლის სწავლების განხორციელების ენად განსაზღვრულია ქართული ენა. მასზე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოზე, ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-14 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული ენა. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოება, რაც, მათ შორის, გულისხმობს სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებასაც, უნდა ხორციელდებოდეს ქართულ ენაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

სკოლამ თანდართული დოკუმენტის სახით წარმოადგინა საქმისწარმოების წესი ქართულ ენაზე, ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მიუთითა, რომ ნათარგმნია მარეგულირებელი დოკუმენტაცია. სკოლის ვებ-გვერდის გადამოწმებით დადგინდა, რომ მასზე განთავსებული დოკუმენტაცია არის ნაწარმოები ქართულ ენაზე.

შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოციზიის წარმდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

<u>რჩევა</u>: *სკოლას მიეცა რჩევა, საქმისწარმოების წესის მე-3 მუხლის 3.10 და 3.11 პუნქტებში ასახულ სარეგისტარციო მონაცემების განმარტებაში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.*

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო დოკუმენტაცია;
2. სასწავლო დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს აქტივობები, რომლის განსახორციელებლადაც საჭიროა ფინანსური რესურსები. სკოლამ წარმოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი და გასული წლის ფინანსური ანგარში. სკოლის ბიუჯეტში ასახულია წლიური შემოსავლის მიხედვით დაგეგმილი ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები როგორიცაა, დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები, კვების ხარჯი, საგანმანათლებლო მასალების ხარჯები, გადასახადები, იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების, კლასგარეშე აქტივობების ხარჯები, ტრენინგის ხარჯი, საზაფხულო სკოლასთან დაკავშირებული ხარჯები, უსაფრთხოების ხარჯები და სხვა მნიშვნელოვანი ხარჯები. ფინანსური მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სკოლის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაძლებლობას.

<u>ინდიკატორი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
2. ბიუჯეტი;
3. ფინანსური ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები როგორიცაა შინაგანაწესი, მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, სასწავლო დებულება, გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურა და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები. დოკუმენტებში გაწერილია მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები, უფლებების რეალიზებისთვის არსებული გარანტიები, გასაჩივრების შესაძლებლობა, მოსწავლეთა სკოლაში ჩასარიცხად საჭირო პროცედურები და მიღების პირობები.

,,ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელოთი'' დარეგულირებულია მოსწავლის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის საკითხი. მოსწავლის მიერ აკადემიის გაცდენის შემთხვევაში, აკადემიის ადმინისტრაცია განიხილავს გაცდენის მიზეზს და გადაწყვეტს, ჩათვალოს თუ არა იგი საპატიოდ. გაცდენის საპატიო მიზეზი შეიძლება იყოს: ავადმყოფობა, ექიმთან შეხვედრა, სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობა, კლასგარეშე საქმიანობაში მონაწილეობა, სასწავლებლად წასვლა, ოჯახთან ერთად დასასვენებლად წასვლა (მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და დირექტორთან წინასწარი შეთანხმებით), რელიგიური დღესასწაული, სკოლიდან დროებითი გარიცხვა / დათხოვნა; და სხვა, დირექტორთან წინასწარ შეთანხმებული მიზეზი. დოკუმენტში არ არის განმარტებული თუ რა ითვლება გაცდენების საპატიოდ ჩათვლად და რა შედეგებს ითვალისწინებს.

<u>რჩევა</u>: სკოლას მიეცა რჩევა, ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელოში'' განმარტოს რას მოიაზრებს გაცდენების საპატიოდ ჩათვლაში და რა შედეგებს ითვალისწინებს იგი. ასევე, დამატებით ასახოს გაცდენების საპატიოდ ჩათვლის კანონით გათვალისწინებული შემთხვევები.

<u>შენიშვნა</u>: სკოლამ გაითვალისწინა რჩევა და წარმოადგინა განახლებული ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო'', რომელშიც ასახულია გაცდენების საპატიოდ ჩათვლის მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს წარმოდგენილ ,,ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელოს'' მშობლის ქცევის კოდექსის თავში, სკოლის მხრიდან მშობლის წინააღმდეგ გასატარებელ სანქციებში გათვალისწინებული იყო მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა არსებულ რეგულაციებთან და არღვევდა მოსწავლის განათლების უფლებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი,,ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო'', რომელშიც დირექტორის ბრძანებით შეტანილია ცვლილება მშობლის ქცევის გამო მოსწავლის სანქცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სანქცია - მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა - დოკუმენტიდან ამოღებულია. ასევე დარედაქტირებულია მოსწავლეთა ქცევის კოდექსი კანონმდებლობის შესაბამისად.

შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სკოლის შიდა დოკუმენტაცია არეგულირებს სასკოლო პროცესების მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, დოკუმენტაციის ნაწილი სკოლამ წარმოადგინა ინგლისურ ენაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სასკოლო რეგულაციები უნდა იყოს ქართულ ენაზე, ანუ იმ ენაზე, რომელზეც სწავლება და ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს სკოლაში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირდა, რომ სასკოლო რეგულაციები არ იყო გამჭვირვალე სასკოლო საზოგადოებისთვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია, შესაბამისობის ტიპი განსაზღვრა როგორც ,,მეტწილი'', ხოლო შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად განსაზღვრა 08.05.2025-16.05.2025 პერიოდი, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლამ ხარვეზი აღმოფხვრილად ჩათვალა.

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო რეგულაციები და შესაბამისი დოკუმენტები ქართულ ენაზე, რომლებიც ასევე ატვირთულია ვებ-გვერდზე.

შედეგად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმდგენამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება'', არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ შეფასდა როგორც ,,შეესაბამება''.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრიტანულ ქართული აკადემიის მშობელთა სახელმძღვანელო;
2. შინაგანაწესი;
3. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
4. სასწავლო დებულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა ვებ-გვერდის მეშვეობით ავრცელებს ინფორმაციას იმ პროგრამების, სერვისების, აქტივობების და რესურსების შესახებ, რომელსაც სთავაზობს მოსწავლეებს. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გადამოწმებისას დადგინდა, რომ ინფორმაცია არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, არის გასაგები, პერიოდულად განახლებადი და არ იწვევს დისკრიმინაციას.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 - დღის წესრიგი

თარიღი: 27.05.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ია ქურიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ქეთევან ბაცანკალაშვილი